საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/3059
11/07/2025

3059-01-2-202507111732

სალომე მოდებაძეს (Be Trendy) (პ/ნ: 18001065063)
ელ-ფოსტა: Salonina952@gmail.com

ქალბატონო სალომე,

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს (ამჟამად - სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო; შემდგომში - სააგენტო) თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 6 დეკემბრის №04/914 ბრძანებით, სააგენტომ დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრე - სალომე მოდებაძის (პ/ნ 18001065063) (შემდგომში - მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

საქმის შესწავლის დასრულებამდე, მოვაჭრემ სააგენტოს შესთავაზა პირობითი ვალდებულების აღება, რომლითაც დაევალებოდა სავაჭრო პოლიტიკის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. სააგენტომ განიხილა კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოფხვრის მიზნით მოვაჭრის მიერ შეთავაზებული პირობითი ვალდებულებები და მიიჩნია, რომ ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ იარსებებს კანონის სავარაუდო დარღვევის რისკი, შესაბამისად, დაეთანხმა შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს და პირობითი ვალდებულების აღების თაობაზე მოვაჭრესა და სააგენტოს შორის გაფორმებული შეთანხმების გათვალისწინებით, 2024 წლის 9 დეკემბრის №04/1199 ბრძანებით, სალომე მოდებაძის (პ/ნ 18001065063) მიმართ დაწყებული საქმის შესწავლა დასრულდა სააგენტოს მიერ კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე.

მოვაჭრე სააგენტოს მიერ მასთან დადებული წერილობითი შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში თავის მიერ ნაკისრ პირობით ვალდებულებებს არაჯეროვნად ასრულებს, კერძოდ, მოვაჭრის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ მომხმარებელს არ მიეწოდება ინფორმაცია საქონლის ან მომსახურების ფასის შესახებ, ასევე, სავაჭრო პოლიტიკა არ არის შეთანხმების მიხედვით გამოსწორებული.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონის 33-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, სააგენტომ ხელახლა დაიწყო საქმის შესწავლა სალომე მოდებაძის (Be Trendy) (პ/ნ: 18001065063) მიერ კანონის შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge

შეგახსენებთ, რომ სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მხარეს უფლება აქვს ჰყავდეს წარმომადგენელი; სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე; გაეცნოს საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით; მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება; განაცხადოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ.

დანართის სახით გიგზავნით „მოქალაქე მარიამ ბექაურის განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის ხელახალი დაწყების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 19 ივნისის №04/654 ბრძანების ასლს.

დანართი: „2“ ფურცელი.

პატივისცემით,

ამათი ამაროვი

დეპარტამენტის უფროსი - მ.შ.
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/654
19.06.2025

ბრძანება

654-01-4-202506191741

მოქალაქე **განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის ხელახალი დაწყების თაობაზე**

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ელი პუნქტის და მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 33-ე მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-6 მუხლის 1-ელი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტებისა და მე-12 მუხლის მე-7 პუქნტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. მოქალაქე 2023 წლის 13 ნოემბრის №01/3845 განცხადების საფუძველზე ხელახლა დაიწყოს საქმის შესწავლა მოვაჭრე - სალომე მოდებაძის (პ/ნ 18001065063) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
3. საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე ეცნობოთ მხარეებს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 17 ივნისის №03/790 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე